მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №3

ქ. მარტვილი 15 მარტი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარა: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, გოჩა ჯიქია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, სერგი ფაცაცია და ზაზა ფრანგიშვილი.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის განკარგულება № 07 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეც. ტექნიკა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები, საწყისი საპრივატიზებო საფასურის (12000 ლარი)) 90%-ით შემცირების შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
3. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ:41.15.41.276 ნაკვეთზე განთავსებული №02/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე 39.63 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული 59.59 კვ.მ. (სულ - 99.22 კვ.მ.) ფართის და სოფელ ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.04.35.565 ნაკვეთზე განთავსებული №01/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე განთავსებული 95.25 კვ.მ. ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
1. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე;
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/
4. ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის sმერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეც. ტექნიკა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები, საწყისი საპრივატიზებო საფასურის (12000 ლარი)) 90%-ით შემცირების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული სპეც.ტექნიკა სხვადასხვა დროს გატანილ იქნა აუქციონზე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის შემცირებით, ბოლოს 2023 წლის 22 ივნისს ზემოთხსენებულ ავტომობილზე კვლავ გამოცხადდა აუქციონი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 80%-ის შემცირებით, რომელიც კვლავ გამოცხადდა ჩაშლილად, აუქციონში არ მონაწილეობის გამო.

ვინაიდან ზემოთაღნიშნული ავტოსატრასპორტო საშუალების გაყიდვა ვერ მოხერხდა აუქციონის რამოდენიმეჯერ გამოცხადების მიუხედავად გთხოვთ, საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ საკითხი მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეც. ტექნიკა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები, საწყისი საპრივატიზებო საფასურის (12000 ლარი)) 90%-ით შემცირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს აღნიშნულ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეც. ტექნიკა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები, საწყისი საპრივატიზებო საფასურის (12000 ლარი)) 90%-ით შემცირებაზე.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეც. ტექნიკა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები, საწყისი საპრივატიზებო საფასურის (12000 ლარი)) 90%-ით შემცირების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის განკარგულება №08 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ:41.15.41.276 ნაკვეთზე განთავსებული №02/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე 39.63 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული 59.59 კვ.მ. (სულ - 99.22 კვ.მ) ფართის და სოფელ ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.04.35.565 ნაკვეთზე განთავსებული №01/2

ნაგებობიდან, პირველ სართულზე განთავსებული 95.25 კვ.მ. ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის № 02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წერილი აღნიშნული ფართების მათზე გადაცემაზე, სადაც ფუნქციონირებს მარტვილის რაიონული სამმართველო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულება, რის შემდგომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 30 იანვარს შემოვიდა საქართველოს შსს წერილი, რომელშიც აღნიშნული ქონების გადაცემა მოთხოვნილია არა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტის, არამედ შსს სამინისტროზე. აქედან გამომდინარე გთხოვთ შეიტანოთ ცვლილება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №02 განკარგულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ:41.15.41.276 ნაკვეთზე განთავსებული №02/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე 39.63 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული 59.59 კვ.მ. (სულ - 99.22 კვ.მ) ფართის და სოფელ ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.04.35.565 ნაკვეთზე განთავსებული №01/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე განთავსებული 95.25 კვ.მ. ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის № 02 განკარგულებაში ცვლილებვის შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ:41.15.41.276 ნაკვეთზე განთავსებული №02/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე 39.63 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული 59.59 კვ.მ. (სულ - 99.22 კვ.მ) ფართის და სოფელ ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.04.35.565 ნაკვეთზე განთავსებული №01/2 ნაგებობიდან, პირველ სართულზე განთავსებული 95.25 კვ.მ. ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18

იანვრის №02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის განკარგულება №09 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წესის მიღება გაამარტივებს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ჩამოწერასა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვას.

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის დადგენილება № 03 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24- წევრმა.

მოისმინეს5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და საკრებულოს წევრებს წარუდგინა ბიუჯეტის ბალანსი კლასიფიკაციის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

საკრებულოს წევრებმა ბონდო თოფურიას საკითხის ირგვლივ კითხვები დაუსვეს, რომელმაც დასმულ კითხვებს უპასუხა, რის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 21, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 3.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში დამტკიცდეს და შეფასდეს დადებითად.

/მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის განკარგულება №10 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/-ის ნუგზარ ცანავას მოხსენება, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების ცხრილი და დასძინა, რომ აღნიშნულ პროექტებთან მიმართებაში ყველა სოფელში ჩატარდა დასხლებების საერთო კრებები და გაფორმდა შესაბამისი ოქმები, რომელიც პროექტს თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს საკრებულოს წევრებმა, რის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 23. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 2.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის განკარგულება №11 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-7 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 7. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/ ნუგზარ ცანავას მოხსენება, ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"- დაფუძნებულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

საკითხი ეხება საქართველოში ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრმის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხს, აღნიშნული სამუშაოების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მუნიციპალიტეტის წინაშე დასმულია საკითხი აღნიშნულ კომპანიაზე გაცემულ იქნას თანხმობა, რათა ქსელის მოსაწყობად უსასყიდლოდ გამოყენებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 გარე განათების ბოძი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს საკრებულოს წევრებმა, რის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 0.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებმიეცეს“ საკითხი ზარმოდგენილი სახით.

/,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის განკარგულება №12 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა